ქალაქი თბილისი, ქ, ასპინძა #13

ს.კ. 01.16.04.054.002 მიწის ნაკვეთზე მდებარე ყველა შენობის

დემონტაჟის პროექტი



ი.მ. ნატო ალფაიძე

თბილისი 2017 წ.

<u>პროექტის შემადგენლობა:</u>

1. *თავფურცელი*
2. *ამონაწერი რეესტრიდან*
3. *საკადასტრო გეგმა*
4. *განმარტებითი ბარათი და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები*
5. *სიტუაციური გეგმა*
6. *ტოპო-გეგმა*
7. *აზომვითი ნახაზი*
8. *მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი*
9. *მუშა პროექტი*

განმარტებითი ბარათი

ტერიტორია მდებარეობს თბილისში, I ასპინძის ქუჩაზე #13

(ს.კ. 01.16.04.054.022) ტერიტორიის მიწის ფართი შეადგენს 2173 კვ.მ. ტერიტორიაზე განთავსებულია ავარიული 1 სართულიანი შენობები სართულიანი შებობა-ნაგებობები რომლის დემონტაჟიც უნდა განხორციელდეს.

ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები:

ტერიტორიის ფართი - 2173 კვ.მ

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ფართი - 793.85 კვ.მ.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების კ-2 და კ-1 საანგარიშო ფართი-1038.39 კვ.მ

შენობის მოცულობა - 3811კუბ.მ.


30/08/17


30/08/17


30/08/17

სადემონტაჟო ობიექტის აზომვითი ნახაზი

შეასრულა ნატო ალფაიძე:

მშენებლობის ორგანიზაციის

პ რ ო ე ქ ტ ი

ი.მ. ნატო ალფაიძე :

თბილისი 2016 წელი

ქ.თბილისი, 1 ასპინძის ქუჩაზე #13-ში

მდებარე (ს.კ. 01.16.04.054.002) შენობა ნაგებობის დემონტაჟის

<u>მუშა პროექტი</u>

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2017

სარჩევი

1. შესავალი
2. ობიექტს დახასიათება
3. დემონტაჟის ვადა. დემონტაჟის წარმოების მეთოდები.
4. მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე. სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი.
5. ტერიტორიის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით.
6. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები.
7. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
8. სამშენებლო გენგეგმა.(განმარტებითი ბარათი)

   დემონტაჟის პერიოდში შესადგენი სამუშაოების ნუსხა.
9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები.
10. დანართები.

    - სამშენებლო გენგეგმა 1:200

    -სამუშაოების კალენდარული გეგმა

1. შესავალი

წინამდებარე დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შენობა-ნაგებობის აზომვების საფუძველზე, მოქმედი ნორმების , წესებისა და ინსტრუქციების გათვალისწინებით. იხ. („სნ და წ-1.04,03,85“ , „სნ და წ.-3.01,01,85, „სნ და წ-3-4-80“, სნ-73),

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებისას, გათვალისწინებულია როგორც მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები, ასევე უსაფრთხოების დაცვის, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები.

2.ობიექტის დახასიათება

ტერიტორია მდებარეობს თბილისში, 1 ასპინძის ქუჩაზე.

ტერიტორიის ფართი შეადგენს 2173 კვ.მ. მიწის ნაკვეთს გააჩნია გარკვეული ქანობი მოლოდ შემოსასვლელთან, დანარჩენი ტერიტორიის რელიეფი სწორია. ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 1,80 მეტრს.

ტექნიკურ ეკოლოგიური მაჩვენებლები

ტერიტორია მდებარეობს თბილისში 1 ასპინძის ქუჩაზე, ტერიტორიის ფართი არის 2173 კვ.მ. სადემონტაჟო შენობა ნაგებობის საერთო ფართია 905.66კვ.მ. კედლები ნაწილი ნაშენებია აგურით, ნაწილი კი ბლოკით 40/20/20 გადახურვები კი შესრულებულია ხის თხელი ანათალებით (ეგრეთ წოდებული გაღდადკა). გადახურვა ორქანობიანია. ხის ნივნივებზე მოწყობილია სახურავი და დაფარულია ლითონის ფურცლით. სარდაფი არ აქვს არცერთ შენობას.

შენობის დაზიანება თვალსაჩინოა წარმოდგენილ ფოტოსურათებზე.

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა


30/08/17


30/08/17

3. დემონტაჟის ვადა, დემონტაჟის წარმოების მეთოდები.

ობიექტის სამშენებლო მოცულობა ტოლია V=3811 კუბ.მ. მისი დემონტაჟისა და ტერიტორიის სამშენებლო ნაგავისგან დასუფთავების ხანგრძლივობა განსაზღვრულია „საწარმოების შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის ხანგრძლივობის „ შესაბამისად (სნ და წ. 1.04.03.85. და სნ. 440-72)

ნორმების მიხედვით დემონტაჟის ხანგრძლივობაა 3 თვე, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა - 0,10 თვე. ე.ი. T=3,0 თვე

მოსამზადებელ პერიოდში ტერიტორიაზე არაა საჭიროება ვაგონის ტიპის დროებითი ნაგებობების, რადგანაც არის ერთი ნაწილი შენობის რომელშიც განლაგდება ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალის ოთახები, მოეწყობა მუშების გასახდელი და იარაღის შესანახი სათავსები. ობიექტზე ასევე უნდა მოეწყოს საყარაულო ჯიხური და დროებითი საპირფარეშო ხელსაბანით. „სნ და წ.III-4-80- ის შესაბამისად.

ზემოთმოხსენებული შენობის დემონტაჟი განხორციელდება ბოლო დღეებში.

დემონტაჟის სამუშაოები იწყება ტერიტორიის დასუფთავებითა და ავარიული კონსტრუქციების ფრთხილად მოხსნა-

მონგრევით.სამშენებლო ნაგავი გაგვაქვს ავტოთვითმცლელით ნაგავსაყრელებზე არსებობის შემთხვევაში ნარგავების მოჭრის საკითხი უნდა შეთანხმდეს ბუნების დაცვის შესაბამის სამსახურთან.

4. მოთხოვნილება სატრანსპორტოსაშუალებებზე სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი

დემონტაჟის მოთხოვნილება სტრანსპორტო საშუალებებზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით არსებული ნორმების მიხედვით (სნ-73 გვ,24)

ჩვენს შემთხვევაში დემონტაჟისა და სამშენებლო ნაგავის ტერიტორიიდან გასატანად შევაჩიეთ:

1. *ავტომთვითმცლელი ტვირთამწეობით 20,0 ტონამდე. 1ც.*
2. *ბორტებიანი სატ, ავტომობილი ტვირთამწეობით 0,0 ტონამდე 1 ც.*

სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნათა ნაკრების უწყისი:

N	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	შენიშვნა
ა) სამშენებლო მექანიზმები				
1	ექსკავატორი	ცალი	1.0	ჩამჩის ტევადობით V=0.50 მ³
2	მობილური ამწე საავტომობილო სვლაზე	ცალი	1.0	L=12.0 მ Q=5.0 ტნ
ბ) სატრანსპორტო საშუალებები				
1	ავტომცლელი	ცალი	1.0	ტვირთამწეობით 20.0 ტნ-მდე
2	ბორტიანი სატვირ. ავტომობილი	ცალი	1.0	ტვირთამწეობით 10.0 ტნ-მდე
3	კომპრესორი გადასატანი	ცალი	1.0	CO-45
4	ინსტრუმენტები (ურო, ძალაყინი, წერაქვი, ნიჩაბი-3ც.) და სხვა.	კომპ.	1.0	

3. მშენებლობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით

მშენებლობის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და სასმელ-სამეურნეო წყალზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით. არსებული ნორმებით (სნ-73 გვ. 18) და (სნ-73გვ.12).

ჩვენს შემთხვევაში:

1. მოთხოვნილება სასმელ-სამეურნეო წყალზე შეადგენს:

0.01ლიტ/წმ

2. მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე შეადგენს:

2.0 კვტ.

მშენებლობის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და სასმელ-სამეურნეო წყლით მიზანშეწონილია განხორციელდეს არსებული ქსელებით.

6.ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები

სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია: სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის, მუშების გასახდელის, საყარაულო ჯიხურის და დროებითი საპირფარეშოს მოწყობა ხელსაბანით.

დროებითი შენობა-ნაგებობების საჭირო ფართებს ვანგარიშობთ მომუშავეთა პერსონალის რაოდენობის მიხედვით (სნ-73 ცხ.52).

1.სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი

F_1 =1 x 4.0 + 6.0 მ²

სადაც, 1 არის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა;

4.0 არის ნორმატიული ფართი ერთ პერსონალზე;

6.0 არის სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის ფართი.

2. მუშების გასახდელი და ინსტრუმენტების შესანახი

F_2= 6.0 x (0.60+ 1.2)= 10.8 ~12.0 მ² (სნ-73 ცხ. 51).

3.0 არის მუშების საშუალო რაოდენობა;

3.საყარაულო ჯიხური 1 კაცზე

F_3= 1 x 8.0= 8.0 მ² (ვიყენებთ სამუშაოთა მწარმოებლის ოთახს).

4. დროებითი საპირფარეშო ერთ ადგილიანი ხელსაბანით

F_4 = 1.50 მ²

7. <u>სამშენებლო გენგეგმა (განმარტებითი ბარათი)</u>

სამშენებლო გენგეგმა შედგენილია 1:200 მასშტაბში; მასზე დატანილია დროებითი გზები, წყალსადენის და ელ. მომარაგების და ტერიტორიის განათების მოწყობის სქემა, მთავარი გამანაწილებელი კარადა.

სამშენებლო მოედანი შემოღობილია ხის ღობით და მასზე განთავსებულია შემდეგი დროებითი ნაგებობები:

1. მუშების ტუალეტი - 2.0 მ²
2. მუშების გასახდელი - 2.0 მ²
3. საყარაულო ჯიხური - 8.0 მ ² (ვიყენებთ სამუშაოთა მწარმოებლის ოთახს)

შენიშვნა: N. 1,2 და 3 პუნქტებში ჩამოთვლილი სათავსოების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ვაგონის ტიპის გადასაადგილებელი სათავსოები:
(YTC H20-01-3); (YTC H20-01-6) ან დამხმარე ნაგებობები

8. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ. და წ III-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებები. მათგან ყურადღება მახვილდება შედეგზე:

1. *სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით;*
2. *მექანიზმების მუშაობის პერიოდში იკრძალება სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა და უცხო პირთა სამშენებლო მოედანზე ყოფნა;*
3. *უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა- მომსახურეთა ყოფნა სახიფათო ზონაში დაუშვებელია;*
4. *ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახ. სტანდარტებში 12.1.013-88 ელექტრო-კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში; ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.*

9. ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები

9.1 როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსამზადებელ პერიოდში მოიჭრება და ამოიძირკვება ის ნარგავები, რომელთა გადარგვა შეუძლებელია ან ხმება; დანარჩენი ნარგავები და ბუჩქნარი, რომელთა გადარგვა შესაძლებელია უნდა გადავრგოთ გამწვანების ზონაში;

9.2 დემონტაჟის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისგან, დანაგვიანებისგან და საკანალიზაციო წყლებით დაბინძურებისგან თავის აცილების მიზნით;

9.3 დროებით საპირფარეშოს მოწყობისას ამოსაკეპ ორმოზე სისტემატიურად უნდა ხდებოდეს საკანალიზაციო წყლის დამუშავება სადეზინფექციო სითხითა და ქლორით;

9.4 მწვანე ნარგავების მოჭრა და გადარგვა უნდა მოხდეს გარემოს დაცვის სამსახურთან შეთანხმებით, სათანადო ნებართვების მიღების შემდეგ.

შენობა №1

ფასადი ჭრილით 1-10 ღერძებში





ფართი გარე პერიმეტრის მიხედვით

761.12 m²

შენობა №2-№3





ფართი გარე პერიმეტრის მიხედვით

7203 m²

შენობა №4-№5

ფასადი 1-5 ღერძებში



ფასადი ა-გ ღერძებში



გეგმა



ჭრილი



გარე პერიმეტრის კროკი

205.24 m²

გენ-გეგმა
მასშტაბი 1:500



ექსპლიკაცია

1. გზა
2. საყარაულო ჯიხური S=8.00 kv.m.
3. მუშათა საშხაპე S=2.00 kv.m.
4. მუშათა ტუალეტი S=2.00 kv.m.
5. დროებითი ღობე
6. სატვირთო მანქანა

ქ.თბილისი. ქ. 1 ასპინძა №13 ს.კ. 01.16.04.054.022

დემონტაჟის წარმოების კალენდარული გეგმა-გარაფიკი.

	სამუშაოთა ჩამონათვალი	სამუშაოთა ხანგრძლივობა თვის კვირების მიხედვით											
		I თვე				II თვე				III თვე			
		1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	
1	მოსამზადებელი სამუშაოები												
2	გადახურვის დემონტაჟი												
3	კედლების დემონტაჟი												
4	ტერიტორიის გასუფთავება												